საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 72861 „27" 02 2013 წ

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს
– საქართველოს მთავრობის კანცელარიის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ შალვა თადუმაძეს

ბატონო შალვა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2013 წლის 15 თებერვლის №5385 მომართვით (სამინისტროში რეგისტრაციის №58176, 15.02.2013) წარმოდგენილ იქნა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები ,,პარტნიორობა ღია მმართველობისათვის" საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელ ორგანოდ მითითებულია შემდეგ საკითხზე: საჯარო ბიბლიოთეკები - ხიდი ინფორმირებულობის გაზრდისა და ელექტრონული მმართველობის განვითარებისკენ (V თავი). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ საჯარო ბიბლიოთეკები, გარდა სამეცნიერო ბიბლიოთეკისა, არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. გაურკვეველია რა სახის საგანმანათლებლო ცენტრების და რა სახის საგანმანათლებლო პროგრამების (პროექტების) განხორციელება იგეგმება აღნიშნული ბიბლიოთეკების ბაზაზე და ვინ განახორციელებს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

7467
1 03 3
2

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.: (+995 32) 2 31 89 40

აგრეთვე გასარკვევია, რა სახის ფინანსური ვალდებულებები დაეკისრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი აქტივობა ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

პატივისცემით,

თამარ სანიკიძე

მინისტრის პირველი მოადგილე